№ 178, აგვისტოს 20, სამშაბათი. 1866—1885 აგვისტოს 20, სამშაბათი. № 178.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50 კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50 კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ —2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანეთი; პირველი 50 მ. რეცენზიანი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილისა ოდენობისა ლობაზედ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გაახსნობინებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერძ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ვსთხოვ მშობელთ და მზრუნველთ მოსწავლეთა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა, რომ მომავალის ენკენისთვის (სექტემბრის) ათის რიცხვიდგან დაწყებული მწიფობისთვის (ოქტომბრის) ათამდის უსათუოდ ინებონ მობძანება, რომელ დღესაც მოსახერხებელი იქნება მათთვის, გარდა კვირა დღისა, სათავად-აზნაურო სასწავლებელში, ორ-პირის ქუჩაზე, თავად ლორთქიფანიძეების სახლებში, მოსალაპარაკებლად მათის უმაწვილებისათვის ძლიერ საჭირო საქმეზე. ვინც აღნიშნულს რიცხვებში არ გამოცხადდება, დიდად დააბრკოლებს თავის უმაწვილის სწავლას.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე.

(3—3)

«დროებაში» დაბეჭდილი წერილის გამო ბ. დიმიტრი ყიფიანს შემდეგი წერილი მიუწერია ბათუმის ბეგების ერთის წარმომადგენელისათვის:

«მოწყალეო ხელმწიფეო

«ხუსეინბეგ სანჯაკ ბეგზადე,

«დროების № 125-ში ამოვიკითხე თქვენი და თქვენთან სხვა საპატიო პირთაგან რედაქტორთან გაგზავნილი წერილი, ბათუმის მაზრის თავად-აზნაურობაზედ და დროს ველოდი, რომ ხმა გამომეცა, რომელიც მე მომეთხოვებოდა.

«ახლა, რადგან საგუბერნიო თავადაზნაურობის მარშლად უმაღლესი დამტკიცება მომიყიდა, თუმცა თანამდებობაში ჯერ არ შევსულვარ, მაგრამ მოვალედ ესთვლი ჩემს თავს მოგახსენოთ,—რომ უპირველესთა საქმეთა შორის უსათუოდ თქვენის სურვილის აღსრულებასაც შევუდგები.

«რაც მამა-პაპეული შთამომავლობითი ჩვენ შორის კავშირი დროთა მომდინარეობამ შეასუსტა, მაგრამ დარღვევით ვერ დაარღვია. დიდად საგონებელი იქნება ჩვენთვის წინაპართა და ერთობ გვარტომობისა ჩვენისა წინაშე, რომ შესაძლებელი მეცადინეობა დავიზარეთ და ამ ძველის კავშირის განახლებას და განმტკიცებას არ დავადგეთ.

«ამ გზაზედ ჩემს-ძმურს ერთგულებას და მეგობრულს გულს-მოდგინებას მით უფრო მხურვალედ აღგითქვამთ თქვენც და ყოველთავე თქვენთან ხელის-მომწერთაც, რომ რაოდენათაც მე თქვენი ცნობა მაქვს და საზოგადოდ თქვენი ღირსების ამბავი მსმენია, თქვენი ჩვენთან შემოერთება ჩვენთვის იქნება სასიქადულო. იმედი მაქვს, რომ ამ მოკლე დროში პირადაც მოვილაპარაკებთ ამ საქმეზედ.

«ბულით მსურველი, რომ თქვენის სიმართლის აღდგინებაში ხელი მოგიმართოთ, დავშთები თქვენი დიდად პატივისმცემელი

დიმიტრი ყიფიანი

აგვისტოს 14-ს.
ს. ქვიშხეთი.

ჩემი აზრი ჩვენს-მწერლობაზე

შრომა უნდა დაჯილდოვდეს. უბრალო მუშას ეყოფა მატერიალური ჯილდო. საქვეყნო მუშას სჭირია კიდევ ზნეობრივი, სულიერი ჯილდო. უბედურია ის საზოგადო მომქმედი, რომლის სიტყვასაც არ იჯერებენ; უბედურია აგრეთვე ის მწერალი, რომლის სიტყვასაც ყურადღებას არ აქცევენ. მოლაპარაკეს თუ ცუდი მსმენელი ჰყავს, ლაპარაკის ხასიათი სრულიად გაუფუჭდება მწერალსაც, თუ ყურადმღებელი არა ჰყავს, აგრეთვე გული წაუხდება, მისი ნიჭი ვერ გაიშლება და ვერ გამოიღებს შესაფერ ნაყოფს და შეიძლება სრულიადაც ჩალპეს. თავისის მხრით მწერალმაც უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება და დააჯილდოვოს მისი ყურადღება.

შეერთებულ შტატებზე ასე ამბობს ტოკვილი: «უნდა ვაღიარეთ, რომ ჩვენს დროში ცოტაა მისთანა განათლებული ხალხი, რომ ჩვენზე ნაკლებ წაეწიოს წინ მეცნიერება და მოეცეს წარჩინებული არტისტების, პოეტების და მწერლების ასე მცირედი რიცხვი». ამის მიზეზად ტოკვილი სთვლის დემოკრატიულ წყობილებას: «დემოკრატები მუდამ ფაცი-ფუცობენ, მუდამ ერთმანეთთან შეტაკებაში არიან გართულნი და ეს უშლის ჭკუას განმაცხოველებელს და აღმამაღლებელ მოძრაობას.» განვმარტოთ ეს აზრი: დემოკრატები მუდამ-დღიურ ცხოვრებისთვის ზრუნავენ, სხვა უფრო მაღალ ზრუნვას იგინი ვერ იცნობენ; ამისათვის პატივს ვერ სდებენ მეცნიერების მოყვარეთ და არ აღვიარებენ, რომ მათა აქვსთ განსაკუთრებულ ასპარეზზე თავისუფალი შრომის ნება.» ტინდალმა ვერ ნახა ამერიკაში ვერაფერი იმ გვარი რომ მეცნიერს მეცადინეობას უშლიდეს, მაგრამ ერთს ამერიკელ საზოგადოებისადმი მიმართულ სიტყვაში ასე სთქვა: «თუ ამერიკაში მეცნიერებს დიდი ნაყოფი არ მოაქვს, მე ამას უწესო არევ-დარევას კი არ მივაწერ, არამედ იმ გარემოებას, რომ ვისაც თქვენში ყველაზე უკეთ შეუძლია მეცნიერების საფუძვლიანად შესწავლა, ისე არიან დატვირთულნი საქალაქო და სამასწავლებლო სამსახურით, რომ ხანიერის და მყუდრო ფიქრის დრო სრულიად არა აქვთ».

შეუძლია თუ არა მეცნიერს ამერიკაში თავისუფალი შრომა, ამისი გამოკვლევა ჩვენთვის საჭირო არ არის. საყურადღებოა მხოლოდ ის პრინციპი, რომელსაც ტოკვილიც და ტინდალიც აღვიარებენ: მწერალს უნდა მიეცეს ზნეობრივი და მატერიალური ჯილდო.

ისტორიის მეცნიერების (?) გარდა, ჩვენი საზოგადოება ვერ დააჯილდოვებს ვერც ერთს ჩვენს მეცნიერებას ვერც მატერიალურად მისთვის, რომ შეძლება არა აქვს, ვერც ზნეობრივად შემდეგის მიზეზების გამო:

იგივე მატერიალური შეუძლებლობის მიზეზით, ჩვენს საზოგადოებასა აქვს მიქცეული უმთავრესი ყურადღება არსებითს პურზე. როდესაც თვალწინ სიმშილი ელანდება, კაცი ვერ ასიამოვნებს თავს მეცნიერების შეგნებით, ვერ განიტაცება რომელიმე მაღალი იდეითი, ვერ მიიღებს, ვერ იცნობს იმ სულიერ ნეტარებას და შვებას, რომელსაც იგრძნობს მხოლოდ არსებითის პურისათვის ყოველ-დღიურ ზრუნვას-მოკლებული. მე დარწმუნებული ვარ, ქართველი მეცნიერი რომ გამოჩნდეს (ისტორიკოსის გარდა(?)) და თავისგან გამოძიებულნი ჭეშმარიტებანი წარუდგინოს ქართველ საზოგადოებას, ეს უკანასკნელი არც კი წაიკითხავს მისს გამონაკვლევს.

აი ამის დასამტკიცებელი საბუთი: თუმცა ჯერ ჩვენი ცხოვრება კარგად არ შემისწავლია, მაგრამ ეს მაინც გამოცდილებით ვიცი რომ ჩვენი საზოგადოება ღარიბია და ნიადაგ იმას ფიქრობს, რითი გაიმდიდრდეო; ეი-

სასოფლო სასწავლებელი *)

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა დაესწრებოდი ერთის სასოფლო სასწავლებლის შეგირდების გამოცდას ქვემო-იმერეთში. ამ სასწავლებელს ჰყავს მასწავლებელი, ათიოდე წლის პრაქტიკით განბრძნობილი, თავის საქმის მოყვარული და მშრომელი კაცი; მას რიგიანი მასწავლებლის სახელიცა აქვს გავარდნილი თავის არე-მარეში; მოსწავლეებიც ყოველ წლობით 70—100 უმაწვილამდისა ჰყავს.

სულით და გულით მოსურნე ვიყავი, რომ ამ «რიგიანი» მასწავლებლის შეგირდების გამოცდას სასიამოვნო შთაბეჭდილება დაეტოვებინა ჩემში, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, სრულიად წინააღმდეგი მოხდა. ბარეგნობით რომ გავსაჯოთ, ყველაფერი თავის რიგზედ იყო; ასე რომ თამამად შეიძლებოდა თქმა ძველი ჩინოვნიკურის ენით: **все обстоитъ благополучно»**: შეგირდების რიცხვი ზომაზედაც მეტია; რაც უსწავლიათ, იმას ზეპირსავით ჰკითხულობენ და სრულიად წიგნის სიტყვებითვე მოჰყვებიან; ანგარიშობენ (?) ისევ ისე ზეპირადვე, თითქოს პასუხი ენაზედ ადგასთო; მოსწავლეებს აჩნეიათ მასწავლებლის ენერგიული შრომა ზოგიერთ საგნებში, მეტადრე რუსულში,—მაგრამ რა ხასიათისაა ეს შრომა, ამაზედ ქვევიაქ კი მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ საზოგადოდ სასოფლო სასწავლებლის შეგირდების წლოვანებაზედ.

ექვსი-შვიდი წლის უმაწვილების მიღება სასოფლო სასწავლებელში,—რომელშიაც კურს-შესრულებული ასში ერთიც არსად აგრძელებს სხვაგან სწავლას,—სრულიად უაზროა და მავნებელიც. 9-10 წლის უმაწვილი, რომელიც ათავებს სასოფლო სასწავლებლის კურსს და სხვა სასწავლებელში არ შედის, ძლიერ მოკლე დროში თითქმის სრულიად ივიწყებს იმასაც, რაც უსწავლია. ივიწყებს მით უმეტეს, რომ მშობლებს არ შეუძლიანთ, დავიანთი «ნასწავლი» შვილი რაიმე იმისთანა საქმეში მაინც მისცენ, რომ თავისი ნასწავლობა საქმეში გამოიყენოს; ესთქვათ, დახლიდრად ივარგოს ხეირიან სავაჭრო სახლში, თავთავრი აწარმოვოს, გასყიდულს და აღებ-მიცემულს ჯამი შეუკრას და სხვა. ეს არც ერთი არ შეუძლიან, რადგან ჯერ ის იმდენად თავისუფლად მომქმედი არ არის, რომ ერთხელ ნასწავლი საქმეში გამოიყენოს.

სასოფლო სასწავლებელი, რომელშიაც მიიღებიან განურჩევლად 6-7 წლის ბავშვები, აუცილებლად გადიქცევა სასწავლებლად მარტოდ-მარტო წერა-კითხვისა, თუ ამ უკანასკნელ სიტყვას ამ შემთხვევაში ვიწრო მნიშვნელობით ვიხმართ. ამ გვარ სასწავლებელში გონების გახნას, სწავლების დროს, რასაკვირველია, თავის თავად მცირე ყურადღება ექნება მიქცეული. მაშინ როდესაც, იმ გვარ სასწავლებელში, რომელიც არამც თუ აწყობინებს სწავლას, არამედ ათავებინებს კიდეც (ამ გვარია ჩვენებური სასოფლო სასწავლებლები), თუ არ პირველი, უმთავრესი ადგილი მაინც უნდა ეჭიროს ამ გვარად გონების გახსნას. სასწავლებელი უნდა ცდილობდეს წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად შეგირდების აზროვნების შემუშავებას. არა ვმარა, რომ უმაწვილმა იცოდეს

*) ამ წერილმა სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დაიგვიანა.

რედ.

ტერატურაც, როგორც ცხოვრების მა ჩვენებელი, სხვას არასფერს გვეუბნება, ჩვენს არსებითს პურზე ჩივილის მეტს.

ამას გარდა ჩვენს საზოგადოებას არ ესმის ჯერ ევროპის მეცნიერება და ამისათვის ქართველი მეცნიერის გამონაკვლევი, რომელიც იქნება ამ უკანასკნელის (ევროპის მეცნიერების) შედეგი, სრულიად გაუგებელი დარჩება მისთვის.

ჩვენი ლიტერატურის წამალთაგანს დავასახელებ ორს:

ა) საცა-კი ბუნებას რამოდენიმე ინდივიდუმი ერთად შეუკრეფია, ყველგან მომხდარა შრომის განაწილება. არც ერთი საზოგადოება არ იხეირებს, თუ კი თვითოეული ყველაფერს გააკეთებს და არ დაინიშნავს საკუთარ ხელობას: თუ იგი არ განვითარდება ამ ხელობაში და განვითარებული ხელობის ნაყოფით სხვებსაც არ ასარგებლებს; თუ იგიც, სამაგიეროდ, არ იგემოვნებს სხვების წარჩინებული ნაწარმოებებით.

ჩვენი ახალ-გაზდობა არის ყველაფერი და არაფერი. მას შეუძენია მხოლოდ საზოგადო ცნობები და სპეციალურად არასფერი არ იცის. იგი მწერლობს კიდეც, პუბლიცისტობს, მასწავლებლობს, მეურნეობს და სხვანი. ლიტერატურას, ვაჭრობას, მეურნეობას, მრეწველობას და სხვა და სხვა ცხოვრების მოთხოვნილებათა ფრიად მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთში. ერთი ისე არ დაეცემა, რომ მეორეც არ დასცეს. ცხოვრება მაშინ გაუმჯობესდება, როცა ყველა ეს ნაწილები ერთნაირად განვითარდებიან და ამისათვის ჩემის ფიქრით აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სპეციალიზაცია, შრომის განაწილება. ეს იქნება წამალი არამც თუ ჩვენი ლიტერატურისა, არამედ მთლად ჩვენი ცხოვრების აღსადგენად მაშინ მდიდარი საზოგადოება დაეკმაყოფილებს მწერალს ეკონომიურად და ზნეობრივად და მიიღებს სამაგიეროდ მისგან სულიერ ჯილდოს

ბ) თუმცა ეს პირველი წინადადება უფრო ძნელი შესასრულებელია, მაგრამ შემდეგი უფრო ადვილია ამ უკანასკნელის საშუალებით ასცილდება, ჩვენს ლიტერატურას და საზოგადოებას ერთი ფრიად შემაფერხებელი მიზეზი. ჩვენს მწერლებს შრომა შემოლევიათ და ახალი სამუშაო ველარ აღმოუჩენიათ. ჩვენს საზოგადოებასაც მოეწყინა ნიადაგ სიღარიბეზე ლაპარაკი; მწერლობამ იგრძნო ეს და შეჩერდა. იქნება ისე არ დახშობია ქართველს სული, რომ რაც კი ყოველ დღიურ ზრუნვას აღემატება, აღარ აინტერესებდეს მას; ცხადია, მაძღარი საზოგადოების ოდენი ვერა, მაგრამ ცოტაოდენი სულიერი მოთხოვნილება მაინც ექმნება. უნდა ვაღიარო, რომ ამ უკანასკნელის დასაკმაყოფილებლად ჩვენს მწერლობას ცოტა რამ უმოქმედნია. ამისი მიზეზი შემდეგია: ყოველს ჩვენს მწერალს სურს თავისებური მწერალი დარჩეს, იმისთანა დასწეროს რამე, რომ ჯერ სხვას არ დაეწეროს. მაგრამ რაკი ამის ნიჭი ბევრს არა აქვს, ჩვენი მწერლები გულხელ-დაკრეფილნი დასხდენ და თავიანთ მოღვაწეობა დასრულებულად ჩასთვალეს. მაგრამ ვითომ ადრე არ არის? ვითომ ის არა სჯობს, რომ ჭკვიანსა და სასარგებლო შრომას შეეუდგეთ და უნაყოფო თავისებურობას თავი დავანებოთ? ის არა სჯობს, რომ ევროპის მეცნიერება, ევროპის ლიტერატურა და მთლად მისი ცხოვრება გავიცნოთ და პოპულიარიზატორები გავხდეთ? ..

X.

შინაური ქრონიკა

ᲂᲂᲂ ცხინვალიდგან გვწერენ, რომ იმ ხეობის ხალხი მეტად ემადრიელება ერთ-ერთ იქაურ ახალგაზდა ფერშალთაგანს, რომელიც ავადმყოფთან ყოველთვის დაუზარებლად მიდის და ღარიბებს არამც თუ არას ართმევს, პირ-იქით თითონ აძლევს თავის წამალს უფასოდაო. ამასკე ვერ ვიტყვითო, იწერება კორესპონდენტი, აქაურ შტატის ექიმზედ. ეს თუმცა ახალგაზდაა და ხალხისადმი გულის-ტკივილი ძვალ-რბილში უნდა ჰქონდეს გამჯდარი, მაინც დაწყეველილი «ზავთრა» ამასც შემოსჩვეია და ადვილად წარმოსადგენია, სახვალიოდ გადადებას წამლობაში რა ცუდი შედეგი მოჰყვებაო.

ᲂᲂᲂ ხონში ამას წინად წარმოდგენა ყოფილა იქაურ საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ «ეჭვით ავადმყოფი». ხარჯს გარეთ 50 მანათი შემოსულა

ᲂᲂᲂ ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილის გამო მოგვვიდა გარჩეული პიესების ავტორის ბ. ბრ. იაკობიძის პასუხი. პასუხში იგი პატიოსანი სიტყვით გვარწმუნებს, რომ სუნდუკიანცის «პეპო» არც სცენაზე მინახავს, არც წაკითხვით წამიკითხია და ამიტომ ტყუილად მაბრალებთ მითვისებას სხვის ნაწარმოებისას, რომელიც ჩემსას ძალიან, თურმე, ჰგავსო. ჩვენ, რასაკვირველია მიზეზი არა გვაქვს-რა ბ. იაკობიძის «პატიოსანს სიტყვას» არ დავერწმუნოთ, მაგრამ ბ. იაკობიძე დაგვეთანხმება, რომ ამისთანა საბუთზედ დაფუძნებული პასუხის დაბეჭდვა ბიბლიოგრაფიული წერილის წინააღმდეგ და რაღაც გარეშე აზრების დაწამება ავტორისადმი ლიტერატურაში მიღებული არ არის.

ᲂᲂᲂ ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ ამ აგვისტოს 17, ესე იგი ფოსტის გაცარცვის მეორე დღესვე, ცხინვალის ხიდზე დაიჭირესო ამ ფოსტის გამცარცველნი.

ᲂᲂᲂ თბილისის ქალების ეპარქიალური სასწავლებლის გამგეობა აცხადებს, რომ ამ სასწავლებელში მსურველთათვის ეგზამენები მომავალ ენკენისთვის 2 და 3 რიცხვს არის დანიშნული.

ᲂᲂᲂ ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში ხელ-ახლად დასაჭერი ეგზამენები იმათთვის, რომელნიც ინსტიტუტის მოწაფეებად ითვლებიან, მოხდება აგვისტოს 23 და 24, და იმათთვის-კი, რომელთაც [illegible] სულ მიღებულ იქმნენ ხსენებულ ხასწავლებელში—აგვისტოს 26 და 27-ს დილის 8½ საათ.

ᲂᲂᲂ ბათუმში აგვისტოს გასულ 12 რიცხვს გასჩენია ცეცხლი ერთს ნავთის მატარებელს—ცისტერნს. ერთი მატარებლის ნავთი—2,000 ფუთი დამწვარა დანარჩენი მატარებლების მოხსნა მოუსწრიათ და გადურჩენიათ.

ᲂᲂᲂ ქვირას, აგვისტოს 18, სურამში გამართული იყო წარმოდგენა «წერა-კითხვის საზოგადოების» სასარგებლოდ პატივცემული კნ. ხერხეულიძის თაოსნობით. წარმოადგინეს: «ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდენ». ზალა ხალხით სავსე ყოფილა და მაყურებელნი, თურმე, ძალიან კმაყოფილნი დარჩენილან; შემოსავალი ათ თუმანზედ მეტი იქნებოდაო.

ᲂᲂᲂ ფინანსთა მინისტრი აგვისტოს 24 სათვის ბათუმში აპირობს მოსვლას.

პატარა შენიშვნა ძველი სენაკიდამ

აგვისტოს 11-ს დაბა ძველ-სენაკში გამართა ჭიდაობა ამავე დაბის მცხოვრებმა ახალგაზდა ფალავანმა—ესებუამ. რადგანაც ამ დროს აქ დიდი ბაზრობა იციან, ურიცხვი მაყურებელი მოაწყდა. საჭიდაო ბულვარში იყო გამართული. ვერაფერი საშუალებით ვერ დაიმაგრეს ხალხი: ბილეთიანი და უბილეთო ერთნაირი გაბედულობით ეჯახებოდა ბულვარის კარ-ზღუდეებს. სამეგრელოს ყოველი დაბა სოფლებიდამ და კუთხიდამ მოგროვდენ მაყურებელნი. ვილა იშოვიდა მათ სატევ ალაგს, რომ უცბად ხალხში ხმა არ გავარდნილიყო: «ესებუას აფიშაში გამოცხადებული ფალავნის ნაცვლად სხვა მოუწეევიაო»; ჭიდაობა მაინც მოხდა, მაგრამ მაყურებელნი აბეზარს მოვიდენ და ორივე ფალავანთ დასჯას აპირებდენ, მაგრამ ადგილობრივმა პრისტავმა ბ.

მარტო ასოების ლამაზად გამოსახვა, ამასთანავე ცოტად თუ ბევრად უნდა შეეძლოს იმავე ასოების შემწეობით აზრის ქაღალდზედ გადატანა: არა კმარა, რომ ყმაწვილმა ოც-ჯერ და ორმოც-და-ათჯერ წაკითხული ლამაზად წაიკითხოს და ზეპირად, წიგნის სიტყვებით, იჭიკჭიკოს, - მას უნდა, ასე ვთქვათ, აცოცხლებდეს წაკითხულის აზრი და ის აზრი ისე ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი, რომ შეეძლოს მისი გამოთქმა სხვა სიტყვებით, ახალ ქერქში გახვევა სიტყვიერად, თუ ქაღალდზედ. ესეც არა კმარა: ყმაწვილს უნდა სურვილად ჰქონდეს გადაქცეული ახალი წიგნების წაკითხვა, რათა მათშიაც ჰპოვოს ახალი აზრები. ესე ყოველივე უადგილოა უბრალო «წერა-კითხვის» სასწავლებელში.

რაც შეეხება კერძოდ ზემორე მოხსენებულ სასწავლებელს, სიმართლე მოითხოვს ვთქვა, რომ მისს მასწავლებელს და უფრო მოსწავლეებს ერთგულად უშრომნიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმის თქმა კი არ შეიძლება რომ მათი შრომის ნაყოფი იმ შრომად ჰღირდეს. ორის წლის განმავალობაში, პირველსა და მეორე განყოფილებაში ქართულის დროს «დედა ენა» ხელიდან არ გაუშვიათ; ყველა წერილებს ზეპირსავით ჰკითხულობენ და მოყოლითაც ზეპირადვე მოჰყვებიან ხოლმე; ყველა ლექსები ზეპირად იციან!.. მაგრამ არც ერთი ლექსის ან სხვა წერილის შინაარსი თავისუფლად, შემოკლებულად ან გავრცელებულად, თავის გონებით და თავის ენით არც უთქვამთ სიტყვიერად და არც დაუწერიათ! ორს წელიწადს «დედაენას» არ მოშორებიან და «სასაუბროებიდან» კი არა უსწავლიათ რა.!!

მესამე ანუ უკანასკნელ განყოფილებაში კი «ბუნების კარით» უხელმძღვანებიათ, მაგრამ გეოგრაფიული ნაწილიდან სრულიად არ წაუკითხავთ და არც სიტყვიერად უსწავლიათ რამე ჩვენს ქვეყანაზედ!! არც იციან, თუ რომელ ქვეყანას ჰქვიან ჩვენი! რასაკვირველია, ვერც წარმოიდგენენ, თუ ჩვენ სხვა ხალხებივით (ვთქვათ ებრაელებსავით, რომელთ ისტორია მეგირდებმა იციან) ჩვენი დავითი და სოლომონები გვყოლია! მაგრამ, რაც უფრო სამწუხაროა, წერითი ვარჯიშობით არც მესამე განყოფილებაში შეუწუხებიათ თავი! ისევ ის უბრალო გადმოწერა წიგნიდან სიტყვა სიტყვით, რომლითაც ხელმძღვანელობდენ წერა-კითხვის დაწყების პირველ სავე თვეებში!!

არითმეტიკის სწავლებაში კი მეფობს მეტუშევსკი თავისის «რიცხვების სწავლებით», მთელს ორს წელიწადს ყმაწვილები სწავლობენ რიცხვებს (და არა მოქმედებას) ასამდის, მესამე წელიწადს კი გაახსენდებათ მოქმედებანი, მაგრამ რაღა დროს!? ამიტომაც არის, რომ ის შეგირდები, რომელთაც ზეპირად იციან, თუ რამდენია მილიონის მეხუთედი, მეათედი, მეოცედი და სხვა და-სხვა, ვერც გაყოფენ იმავე მილიონს ორ ნაწილად ისე, რომ ერთი წილი ოთხჯერ მეტი იყოს მეორეზედ!

ერთის სიტყვით, ყველა საგნების შესწავლაში ზეპირობას უჭირავს პირველი ადგილი, მოსაზრებას კი უკანასკნელიც არა!

ნარ.

ივნისის 15-ს

ქავთარაძემ და თავად-აზნაურთ წინამძღოლმა ასე მოარიგეს მოჭიდავე ესებუა საზოგადოებასთან: შემოსული ფული, ჭიდაობაზე გასული ხარჯს გარდა, საქველ-მოქმედოდ უნდა დანიშნულიყო. პროტოკოლიც ამ აზრით დაიწერა პრისტავის თანა-დასწრებით. 250 მანათი ძველი სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ დანიშნეს (მეოთხედს უიმისოდაც დაპირებული იყო ვ. ესებუა), 50 მანათი ადგილობრივის ეკლესიისათვის, 21 მანათი ახალ-სენაკის მომავალ საქალებო სკოლის სასარგებლოდ და 100 მანათი მოჭიდავე ესებუას გადაეცა ხარჯის გასასტუმრებლად. დიდი მადლობის ღირსია ბ. პრ ქავთარაძე, რომ. ასე მშვიდობიანად და სკოლისა და ეკლესიის სასარგებლოდ დაატრიალა ზემოხსენებული საქმე.

უცხოეთი

ამ უკანასკნელ დროს ერთობ გახშირდა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით ავსტრიაში, დიდებულ სტუმართა მოგზაურობა. რუსეთის იმპერატორი, უუავგუსტოესის ოჯახობით ეწვია ავსტრიის იმპერატორს აქამდის უცნობს ქალაქს კრემზიერში და ამით ამ ქალაქმა, სკერნევიცისა არ იყოს, სადაც სამთა იმპერატორთა ნახეს ერთმანეთი, მომავალ ისტორიულ მატიანეში მოიპოვა ადგილი. მომავალი მომატიანე მოიხსენებს «ნახვას სკერნევიცაში და კრემზიერში». ბოლგარიის მეფეც ეწვია ავსტრიის იმპერატორს. საბერძნეთის მეფე დანიაში წავიდა. ესპანიის დედოფალი იზაბელა მიუნხენისაკენ გაემგზავრა, გზად ვენაზედ გაიარა, სადაც დედოფალი ნახეს ავსტრიის იმპერატორმა, ფრანც-იოსებმა და მემკვიდრე რუდოლფმა მეუღლითურთ. ინგლისმა საგანგებო წარმომადგენელი სერ-დრუმონდ ვოლფი გაგზავნა ოსმალეთში. ბირსი, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, გაემგზავრა ბერმანიაში. ალნოკიმ და ბისმარკმა ერთმანეთი ნახეს. რუსეთის წარმომადგენელი ბერლინში, გრ. შუვალოვი გაემგზავრა პეტერბურგს. სპარსეთმაც გაგზავნა თვისი ვარნელი წარმომადგენელი გერმანიაში და სხვ. სხვ.

ასეთი გაცხარებული მისვლა-მოსვლა შეიქმნა ამ ბოლო ხანებში სხვადა-სხვა სახელმწიფოებ შორის. ამ მოგზაურობათაგან ყველაზედ დიდს მნიშვნელობას ქვეყანა და გაზეთები აძლევენ რუსეთის იმპერატორისა და სხვა უუაეგუსტოეს პირთა გამგზავრებას ავსტრიისაკენ, სადაც (კრემზიერში) დიდებულ სტუმართ ნახეს ავსტრიის საიმპერატორო ოჯახობა. გაზეთები ამბობენ, რომ კრემზიერში ნახვის დროს, მოსალოდნელი არ იყო ორთა იმპერატორთ რაიმე დიდ-მნიშვნელოვან პოლიტიკურს საქმეზედ ჰქონოდათ ლაპარაკი, გერმანიის იმპერატორის დაუსწრებლად დაედგინათ საყურადღებო რამ გადაწყვეტილებაო. კრემზიერში ერთმანეთის ნახვით ავსტრიისა და რუსეთის იმპერატორთ მხოლოდ უფრო მკვიდრი საფუძველი დაუდვეს იმ კავშირს, რომლის ჩამოგდება მოინდომეს სკერნევიცაში ნახვის დროს სამთა იმპერატორთა.

კრემზიერში ნახვის შემდეგ თვისის მნიშვნელობით უპირველესი ადგილი დრუმონდ ვოლფის მისიას უნდა მიეცეს, თუ სახეში ვიქონიებთ ევროპისაგან საერთო ყურადღების მიპყრობას ამ მისიაზე. იქნება გადამეტებული არ იყოს, თუ ვიტყვით, რომ მთელი დედა-მიწის პრესა სჯის ამ ჟამად დრუმონდ ვოლფის გამგზავრებაზე ოსმალეთში და უმთავრეს ყურადღებას-კი ამ საგანზე ინგლისისა და რუსეთის გაზეთები აპყრობენ, რადგან თან-და-თან აშკარა ხდება, რომ ინგლისის მმართებლობამ დრუმონდ ვოლფს მიანდო თავისკენ გადმობირება ოსმალეთისა. მაგრამ საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთებიც დიდს სჯაში არიან ამ საგნის გამო. დრუმონდ ვოლფს მინდობილი აქვსო,— ამბობენ ეს გაზეთები, სხვათა შორის, ეგვიპტეს საქმეებზედაც მოელაპარაკოს ოსმალეთის მმართებლობასაო, და ეგვიპტეს ბედის გადაწყვეტა-კი ჩვენდა დაუკითხავად არ შეუძლიანთ მხოლოდ ინგლისსა და ოსმალეთსაო. ამის გამო ინგლისური გაზეთი Morning Post-ი ამშვიდებს საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთებს და ამბობს, რომ ინგლისის მმართებლობა არ მოინდომებს დაარღვიოს ევროპის მშვიდობიანობა, ეგვიპტის საქმეებს სხვა სახელმწიფოთა დაუკითხავად ვერ გადასწყვეტენ ინგლისი და ოსმალეთიო.

Standard-ის ბერლინელ კორესპონდენტს გრძელი ბაასი ჰქონია დრუმონდ ვოლფის მისიაზე «ერთს ცნობილს დიპლომატთან, რომელიც სტამბოლიდამ ჩამოვიდაო». ამ დიპლომატის აზრით სერ დრუმონდ ვოლფი უბრალოდ მომცდარა, თუ იმისთვის გაემგზავრა ოსმალეთში, რომ ხონთქარი დაიყოლიოს ინგლისის კავშირზე რუსეთთან საბრძოლველად. ხონთქარი და იმის პირველი ვეზირი სრულიად წინააღმდეგნი არიან, რომ ამ ჟამად აქტიური მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაშიო. უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის დამამხობელ შედეგს ჯერ კიდე ნათლად ხედვენო ოსმალეთში. ბარდა ამისა ბლადსტონის პოლიტიკამ იმდენად გააცრუა ოსმალეთის ნდობა ინგლისზე, რომ ხონთქარი და სეიდ-ფაშა უფრო ენდობიან რუსეთს, ვიდრე ინგლისსაო. მართალია, ეხლანდელი ინგლისის მმართებლობა მომხრეა ოსმალეთისა, აბდულ-ჰამიდსა (ხონთქარს) და საიდ-ფაშას (დიდს ვეზირს) სალისბიურისადმი არავითარი სამდურავი არ ჰმართებთ, მაგრამ მცირე ხანის შემდეგ ინგლისში ამორჩევები უნდა მოხდეს, შეიძლება ადვილად სალისბიური გადააყენონ და მაშინ ოსმალეთი ისევ დავიწყებული იქნება ინგლისის მმართებლობისაგანაო. ხონთქარი ეხლანდელი მდგომარეობის წყალობით ვერსით ვერ გაალაშქრებს თავის ჯარს... რიცხვით-კი დიდია ოსმალეთის მხედრობა, მაგრამ ძლიერებით მეტად სუსტია. თ-დმა ბისმარკმა იმ თავითვე, როცა ეგვიპტის საქმეებს არევ-დარევა დაეტყოთ, ურჩია ოსმალეთის მმართებლობას ოც-და-ათი ათასი მეომარი გაეგზავნა ეგვიპტეში ინგლისის ჯარის საწინააღმდეგოდ, მაგრამ ხონთქარი აბდულ-ჰამიდი ვერ დაეთანხმა ამ რჩევას. ამიტომ დრუმონდ ვოლფი ტყუილად შეაწყენს თავს, თუ მოიწადინებს დაიყოლიოს ოსმალეთის მმართებლობა სუდანში ჯარების გაგზავნაზე. ხონთქარი, დიდი ვეზირი და ოსმალეთის მხედრობის ყველა სარდალნი იმ აზრისანი არიან, რომ ამ ჟამად ერთი მეომარიც ოსმალოს ჯარისა არ მოაშორონ ევროპის ოსმალეთს. ესენი იმდენად უმეცარნი არ არიანო, რომ მოაშორონ ჯარი: აღბანიას, რუმელიას მაკედონიას, არაბიას და სირიას, რომელ ქვეყნებშიაც ამ ბოლოს დროს არა ერთხელ იჩინა თავი არეულობამ — ზოგი ოსმალეთის მმართებლობაზე უკმაყოფილების გამო და ზოგი სხვა მიზეზითაც.

წერილი რედაქტორთან

ბ რედაქტორო!

თქვენი პატივცემული გაზეთი «დროების» № 175-ში დაბეჭდილია დ. ძველ-სენაკიდან ბ. ს. ყ—ნისაგან «პატარა შენიშვნა» შესახებ ადგილობრივი სცენის მოყვარეთაგან იქ (დ. ძველ-სენაკში) გამართული წარმოდგენისა; ამ წერილში რამდენიმე კორექტურული შეცდომებია და რადგან მე გახლდი მაგ წარმოდგენის შემოსავალ-გასავალის და ავ-კარგიანობის კისრათ-მღებელი, საჭიროდ ვრაცხ. გასწორებულ იქმნენ ეს შეცდომები

აი ეს შეცდომები:

არის	უნდა იყოს
აგვისტოს 1-ს სასოფლო და საზნაურო სკოლის მასწავლებლებმა. ლაეკვანია	აგვისტოს 6-ს სასულიერო და საზნაურო სკოლის მასწავლებლებმა. ლ. ეკვანია.

შემოსავალი. 331 მან. 131 მან. (თორემ შემოსავალი ერთობ საკმაოდ გამოდის და ხარჯი ბევრს ნდომულობს. ვინ იცის ვინ რას იფიქრებს?)

გაეგზავნა 22 მან. გ. ჯ—რიძეს უნდა იყოს ი. ჯ—რიძეს.

ამასთან უადგილო არ იქნება მადლობა გამოვუცხადოთ დახმარებისათვის ე. ადამიას ასულს აღლაძისას, რომელსაც, როგორც სხვებმა, მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მაგ საქმეში და რომელსაც ბ. ს. ყ—ნის «პატარა შენიშვნაში» არ ჰხდომია წილი მადლობაში, (ალბად ჩვენივე დაუდევრობით).

ი. ქ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 17-ს.

კიევი. გუშინ, სადამოს 6 საათზე მათნი დიდებულებანი ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა, მათნი უმაღლესობანი მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდნი თავადნი გიორგი და გლადიმერ ალექსანდრეს ძენი და დ. კ. ბარიატინსკი ბავლეს ასულნი მობრძანდენ. ს. გოზიზალზე მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ; დ. თ. პეტრე ნიკოლოზის ძე, სამხედრო მინისტრი ვანოვსკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგე დურნოვო, გენერალ-ადიუტანტნი; ვოეიკოვი, ტრეპოვი, ისაკოვი, კიევის გუბერნატორი, გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და ქალაქის თავი ქალაქის გამგეობას წევრებითურთ; გუბერნიის წინამძღოლმა და გენერალ-გუბერნატორის მეუღლემ მიართვეს იმპერატრიცას თაიგულები, და ქალაქის თავმა და წევრებმა მიართვეს იმპერატორს ბურ-მარილი ხის ჩუქურთმიან თეფშით. მათ უდიდებულესობათა მიმგებებელთ შორის იყვნენ: გერმანიის იმპერატორის გენერალ-ადიუტანტი გერდერი, სვიტის გენერალნი, სასახლის კავალერები, წარჩინებულნი ბირნი და ბეგრნი მანდილოსანნი თაიგულებით. მატარებელმა გამოსვლის შემდეგ მათ უდიდებულესობათ გამარჯვება მოახსენეს საბტიო ეარაულს. სიმეფო ოთახების შესავალთან გებულიყო კარავი რუსის გემოვნებაზე; მთელი სტანციის დროშებით და მუხის ფოთლებით იყო მორთული. საიმპერატორო ოთახებში მათ უდიდებულესობათ მიეგებნენ მანდილოსანნი; სტანციიდამ მათნი უდიდებულესობანი თავ-გადახდილის ეტლით გამგზავრენ. აუარებელი ხალხი ალტაცებით ეგებებოდა მათ უდიდებულესობათ; სახლის ბალკონები და ფანჯრები ხალხით იყო სავსე; ზოგიერთ ქუჩებზე ჩარაზმულნი იყვნენ მოსწავლე ქალ-კაჟი; ქალებს თაიგულები ეჭირათ; ალტაცებული «ურა» კიეველებისა უერთდებოდა ზარების რეკვას. სტანციიდამ მათნი უდიდებულესობანი ბირ-და-ბირ წმ. სოფიოს ეკლესიაში მობრძანდენ; გალავნის კარებზე მათ უდიდებულესობათ გამოეგებნენ მიტროპოლიტნი კიევისა ბლატონი, სერბიისა მიხეილი და დანარჩენი სამღვდელოებანი. მათნი უდიდებულესობანი ემთხვევნენ ჯვარსა და გაყვნენ სამღვდელოებას ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა პარაკლისი და წარმოითქვა მრავალ-ჟამიერ, რის შემდეგ მათნი უდიდებულესობანი ემთხვევნენ წმინდა-მოწამის მიტროპოლიტის მაკარის ძვლებს და ძიგიდენ წმ. სოფიოს ეკლესიის დამფუძნებელის თავადის იარაოლაევის სამარხოსან. ეკლესიიდამ ეტლამდე მათ უდიდებულესობათ მოელი სამღვდელოება გაყვა მგალობელთა გუნდით. აქედამ მათნი უდიდებულესობანი გაემგზავრენ სასახლეში, იმავ დღეს ნახეს დ. კ. ალექსანდრე პეტრეს ასული და სასახლეში დაბრუნების შემდეგ პური მიირთვეს; სადამოს მთელი კიევი გაჩირაღდნებული იყო. დღეს, დიღის 11 საათზედ; იქმნება კიევის მოელი ჯარების დათვალიერება.

სიმლა. ინგლისელებმ. საჩივარი მისცეს ემირს ჭერათის გუბერნატორზე, რომელიც იდუმლად ხსნიდა ინგლისის მესაზღვრე კომისიის წევრების წერა-

ლებს და საზოგადოდ უგეთურად ეპყრობოდა ამ კომისიას.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უფწმინდესის სინოდის გადაწყვეტილება პეტერბურგში ნიკოლაევის ერთ-მოწმუნე ეკლესიის მღვდლის ვერხოვსკის საქმის გამო: უფწმ. სინოდმა დაინახა რა, რომ ვერხოვსკი დიდი ხანია ეტანებოდა მწვალებელთა სწავლას, რასაც ნათლად ამტკიცებს მისი თხზულება; ჩაგონებას არ მიჰყვებოდა; იდუმლად დასტოვა თვისი ადგილი და სამზღვარს გარეთ გაიქცა მწვალებლებთა; მოსკოვში და ბელოკრენიცში ჯურთხვა მიიღო მწვალებელთა ცრუეშისკოპოსებისგან, — და გინა ჩამოეხადოს ვერხოვსკის მღვდლობა და თუ იგი, როგორც ერის კაცი არ მიჰყვება წმ. ეკლესიას და გაჰკიცხავს მასზედ გაჩენილს სამართალს, სრულიად განდევნილ იქმნეს ეკლესიისგან.

კიევი. წვიმის გამო გუშინ ჯარების დათვალიერება აღარ მოხდა. ნაშუადღევის 1 საათზე სასახლეში საუზმე გაიმართა 135 კაცისათვის; მოწვეულნი იყვნენ ჯარების ზოგიერთი უფროსებიც; საუზმის დროს ბაღში უკრავდა სამხედრო მუსიკის ხოროო; მესამე საათზე გამოიდარა და მათნი უდიდებულესობანი თავ-გადახდილის ეტლით გამობრძანდენ სასახლიდამ ზოგიერთ სასწავლებელთა და ქველ-მოქმედ დაწესებულებათა დასახედავად ქეთილშობილთ ქალების ინსტიტუტში მათ უდიდებულესობათ წარუდგინეს მიცვალებულის იმპერატორის ალექსანდრე II-ის ნათლული სადიყ-ფაშა ჩაიკოვსკის ქალი; მემდეგ დაათვალიერეს ბრმათა სასწავლებელი, ადგილობრივ ქველმოქმედ საზოგადოების სახლი, სახელოსნო სკოლა, ალექსანდრეს საავადმყოფო, სადაც მათთ უდიდებულესობათ მოწყალედ მოიკითხეს ზოგნი ავად-მყოფნი; დაათვალიერეს აგრეთვე მარიამის წითელი ჯვრის სადგური და ბოლოს 1 კლასიკური გიმნაზია სადაც, მოწაფენი «აცხონე უფალო ერი შენი»-ს გალობით მიეგებნენ უაეგუსტოეს სტუმართ. მათ დიდებულებათ ყოველად-მოწყალედ ინებეს ზოგიერთ მოწაფეების გამოკითხვა და შემდეგ გამოემშვიდობნენ; მოწაფეებმა აღტაცებულის «ურათი» მიაცილეს მათნი უდიდებულესობანი ეტლამდის. სასახლეში დაბრუნების შემდ,გ, საღამოს მათ უდიდებულესობათ მიირთვეს პური დ. ძ. ალექსანდრა პეტრეს ასულისას. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

აგვისტოს 19 ს.

კიევი. გუშინ დილის 11 საათ. მათ უდიდებულესობათ ხელმწიფე იმპერატორსა და იმპერატრიცას წარუდგა დეპუტაცია კურსკო-კიევის რკინის გზის არტელშჩიკებისა დეპუტაციამ განუცხადა იმპერატორს ქვეშევრდომობითი ერთგულება და მიართვა პურ-მარილი ვერცხლის თეფშით, შემდეგ მემკვიდრე ცესარევიჩმაც ინახულა დეპუტაცია.

სიმლა. ბუტანიდამ მიღებულია ცნობა, რომ ინსურგენტების წინამძღოლმა დაიჭირა მთელი მხარეო. დერპტის (?) რაჯამ დახმარება მოსთხოვა ჩინელებს.

სტამბოლი. გუშინ ხონთქარმა ინახულა ინგლისის საგანგებო ელჩი დრუმონდ ვოლფი. ვოლფმა წაუკითხა ხონთქარს წერილი, რომელშიაც ინგლისის დედოფალი, იგონებდა ხონთქრის მამის მეგობრულს კავშირს და ითხოვდა ამისაგანაც დახმარებას ეგვიპტეში წესიერების დაფუძნებისათვის, რაიცა დიდს ინტერესს შეადგენს სახელმწიფოებისათვისაო. ხონთქარმა უპასუხა, რომ მას დიდად უღირს დედოფლის მეგობრობა და მადლობელია, რომ არ დავიწყებიათ მისი უზენაესი უფლება ეგვიპტეზე. ხონთქარი მოიწვევს თვის წარჩინებულთ ეგვიპტეს საქმეებზე მოსალაპარაკებლად დრუმონდ ვოლფთან.

იოკოგამა (იაპონიაში). ნაგასაკში ხოლერა გაჩნდა.

პარიზი. ქალ. ვოლტრიში, გენუის მახლობლად, იტალიაში, რამდენიმე კაცი გახდა ავადა, როგორც ჰფიქრობენ ხოლერით. თულონში, სადაც ხუთშაბათს 34 კაცი მოკვდა, ხოლერა თან-და-თან სუსტდება.

განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს

ქუთაისის გუბერნიის და განსაკუთრებით მეგრელის თავად-აზნაურთა საცნობლად, რომ 1885 წ. ენკენისთვისათვის I განყოფილებაში ოც-დაცამეტი ვაკანსია იქნება, II მეორეში—ორი (2), III მესამეში—(4) ოთხი და IV მეოთხეში (15) თუთხმეტი. პირველ განყოფილებაში შემსელელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მეორის, მესამისა და მეოთხისათვის განყოფილებათა შესაფერი ეგზემენი უნდა დაიჭირონ; თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე აგვისტოს 20-დგან 29-მდის და ამასთანავე წარმოადგინონ წლოვანების და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. სწავლა პირველ ენკენისთვეს დაიწყება, თუ მანამდის სახლი მოსრულდა.

ამა მდგომარე წლის საბანკო კრების გარდაწყვეტილებისამებრ, სასწავლებელი მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთათვის არის დაფუძნებული და ეისთვისაც სამხროა, ყველას უფლება აქვს ამ სასწავლებელში შვილი შემოიყვანოს. (10—8)

ანგარიში

რუსის გამსესხებელ-შემსესხველის ამხანაგობის ურიდობის განყოფილებისა

ივნვრის 1-ს 1884 წელს ბიუ-ფებიდან:

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი:	მან.	კაპ.
წილის ფული. . .	3,162	—83	სესხით მიცემული. .	8,100	—50
შესანახავათ . . .	377	—38	ეუთში ნაღდად . .	687	—22¾
სესხი	4,000	— ›			
სათადარიგო თანხა .	245	— ›			
მოგება	1,002	—51¾			
ჯამი.	8,787	—72¾	ჯამი.	8,787	—72¾

1884 წელში.

შემოსავალი:	მან.	კაპ.	გასავალი	მან.	კაპ.
წილის ფული . . .	484	—60	წილის ფული . .	151	—89
სარგებელი გასესხების დროს	355	—67	მოგება წილის ფულზედ	699	—56¼
ჯარიმა	137	—85	სესხათ მიცემული .	2,331	— ›
დაბრუნებული სესხად მიცემული . .	3,668	—50	დაბრუნებული სარგებელი ვადაზედ წინათ	›	—32
შესანახავად . . .	188	—85	შესანახავათ . . .	377	—38
ნასესხნი	5,000	— ›	სარგებელი შესანახავათ	41	—43
სათადარიგო თანხა .	83	—46¼	ნასესხისა	6,000	— ›
			სარგებელი ამისივე .	158	—58
			ჯამაგირი მმართველებისა	298	—63
			აღებ-მიცემობისა .	89	—46¼
ჯამი	9,918	—93¼	ჯამი.	10,148	—25¼

ივნვრის 1-ს 1885 წლისა ბიუ-ფებ:

წილის ფული. . .	3,495	—54	სესხათ მიცემული .	6,763	— ›
შესანახავად . . .	188	—85	ეუთში ნაღდად . .	457	—90½
ნასესხი	3,000	— ›			
სათადარიგო თანხა .	328	—46¼			
მოგება	208	— 5¼			
ჯამი.	7,220	—90½	ჯამი.	7,220	—90½

რჩევის თავმჯდომარე. თ. ნ. დიასამიძე.

წევრნი რჩევისა. ს. გურასპაშვილი.
ბ. ჯაველაშვილი.
ბ. ბეჟანაშვილი.
დ. მამესწერაშვილი.
მ. ჯიმიევი.

წევრნი მმართველნი { ნ. სამაგალოვი. ნ. მძისაროვი.

ი. ა. ფორაქოვის და დ ზ. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზედ).

ისყიდება

დაწმენდილი **პურის არაყი** სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და სხვა გვარი დაწმენდილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Порокова и Д. Сараджева. (20—9)

აძლევენ

ქირით სადგურს

სადილ ვახშმით და მუსიკით. მდგმური უეჭველად ქალი უნდა იყოს. «ქონიუშენნი» ქუჩა № 8, სახლი თ დი არლუთინსკისა. (5—3)

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელთა მოწაფეთა შემწეობისათვის გამგე კომიტეტი აცხადებს, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში წელს გაიხსნა ვაკანსია მოსამზადებელი კლასის მასწავლებელისა ქართული ენისა და სამშობლო გეოგრაფიისა; მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ თავიანთ თხოვნით სკოლის კომიტეტს, რომელიც დანიშნავს ღირსეულს გამოსაცდელი გაკვეთილის შემდეგ. (3—3)

შოკოლადი

ს. სიუ და კ°.

(Ц. 2542). (46—27)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი